

სრულიად  
საქართველოს  
რუსთაველის  
საზოგადოების  
გულრიფვის  
რაიონული  
განყოფილება

# საქრებულო

გაზეთი გამოდის 1989 წლის ნოემბრიდან თვეში ერთხელ

№ 2. 1989 წ. დეკემბერი.

## ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ნ ო ბ ა თ ი

### ანუ დაუჯერებელი ამბავი

ჩვენი დიდი ქვეყნის მთავრობა რომ გამუდმებით ფიქრობს ხალხზე და მისი კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება, ამაში დღითი დღე უფრო ვრწმუნდებით. ერთ მაგალითად ისიც კმარა, 1986 წლის აგვისტოში დიდძალი რადიოაქტიური ხორცი რომ გამოგვიგზავნეს, მერე, დეკემბერში მისი ძეხვეულში გამოყენების საკმარის საფუძვლიანად დამუშავებული რეკომენდაცია „დაა-წის“ და ბოლოს... მაღაზიებში, სასადილოებსა და რესტორნებში ჩამოგვირიგეს.

მოვიტყვეთ, სახალწლო განწყობილება რომ გაგიფუტეთ, მაგრამ უთქმელობას ისევ თქმა ვამჯობინეთ. გთავაზობთ რეკომენდაციის ხელმოწერების ფოტოფარგმენტებს (მათი, ვინც „დაამტკიცა“ და მათი, ვინც „დაამუშავა“), სოხუმის ხორცკომბინატის მიერ 1989 წლის 21 ნოემბერს გაცემულ ცნობას (აქვე ბოდიშს მოგიხდით მისი რუსულად გამოქვეყნებისათვის—ასე უკეთ გამოიხატება წერილის არსი)...

და კიდევ: რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის მიმართვას საქართველოს მთავრობისადმი, რომელსაც უთუოდ მხარს დაუჭერენ ჩვენი მკითხველებიც.

ским мясокомбинатом, качественное удостоверение № 5254. Мясо было израсходовано в колбасное производство, согласно рекомендации по использованию мясного сырья с содержанием РВ, утвержденное заместителем главного Государственного санитарного

лутуш, с общим весом 13,858 кг. Протоколы исследований: № 31 от 30 марта, № 32 от 9 апреля, № 33 от 16 апреля, № 34 от 17 апреля, № 35 от 22 апреля, № 36 от 23 апреля, № 37 от 24 апреля, № 39 от 27 апреля, № 40 от 28 апреля, № 41

27, 29 апреля, 5, 6, 7, 8 мая соответственно по результатам анализа содержания РВ отклонение от нормы зарегистрировано не было и была разрешена реализация в торговую сеть без всяких ограничений. Наряду с вышеуказанным из Батумского мясокомбината

лучения отдела радиологической защиты УНГ № 47 от 3. VI. 86 г., мясо направлено на промпереработку (колбасное производство с разбивкой 1:10)».

Из указанного количества в строгом соответствии с рекомендациями Госагропрома СССР, на основании заключений лаборатории радиологии РСЭС МЗ Абхазской АССР, (протоколы исследований: №№ 61, 61а, 61б, 61в, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 73, 74, 74/2, 74/3, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 82а, 82б, 83, 84 от 26 января 1988 года, 1, 2, 3, 5, 10, 11, 12, 16, 18, 19, 23, 24, 24, 26, 27, 29 февраля 1988 г., 2, 4, 5, 10, 11, 12, 23, 25, 26, 30 марта и 5 апреля 1988 г.) было использовано на выработку вареных колбасных изделий 5.963 кг мяса.

Остальное количество свинины 49.367 кг находится в изолированной камере № 2 на холодильнике Сухмясокомбината.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ გივი გუგუაბერიძეს**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ნოდარ ჭიოჭანიძეს**

ბორცის წარმოების საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის მიერ (დირექტორი ვ. ივანოვი) შემუშავებულია რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს რადიოაქტიური ნივთიერებების შემცველი ხორცის გამოყენებას ძეხვებში.

ეს რეკომენდაცია შეთანხმებულია სსრკ მთავარი სანიტარული ექიმის მოადგილესთან (ა. ზაჩენკო) და დამტკიცებულია სსრკ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილესთან (ლ. კუზნეცოვი) 1986 წლის 30 დეკემბერს (სახალწლო საჩუქარი?)!

და აი, ამ რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქის მაცივრებში შემოვიდა ასეულ ტონობით რადიოაქტიური ნივთიერების შემცველი ხორცი. ცხუმის ხორცკომბინატში შემოსული 68 ტონა ასეთი „ხორციდან“ 18 ტონა უკვე გაშვებულია წარმოებაში ძეხვის ნაწარმის სახით (!). დარჩენილ 50 ტონას დაკარგული აქვს სასაქონლო იერი.

ხორცკომბინატის თანამშრომლების ვარაუდით, მაღალი ინსტანციები აპირებენ დარჩენილი „ხორცის“ უტილიზაციას და კომბინირებულ საკვებში გამოყენებას ან საქართველოს ტერიტორიაზე ჩამარხვას! ამის შედეგად რა დღე დაადგება ჩვენს ისედაც კატასტროფულად დაბინძურებულ ბუნებას, ადვილი წარმოსადგენია.

კატეგორიულად მოვითხოვთ, უმოკლეს ვადებში გამოიქვეყნოს ნებისმიერი, თუნდაც ძვირადღირებული საშუალება და „ხორცი“ ტრანსპორტირებულ იქნას იქ, საიდანაც გამოიგზავნა.

**სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია.**  
1989 წლის 20 დეკემბერი.

### СПРАВКА

#### О ПОСТУПЛЕНИИ И ИСПОЛЬЗОВАНИИ МЯСА С ПОВЫШЕННЫМ СОДЕРЖАНИЕМ РВ

В августе 1986 г. с Горьковского мясокомбината было получено мясо говядина I категории в количестве 13.330 кг и говядина II категории 528 кг., выработанное Гомель-

врача Зайченко и заместителем председателя Госагропрома СССР Кузнецова.

Все партии мяса, получаемые с холодильника в колбасное производство, были представлены Республиканской СЭС для уточнения содержания РВ. Всего было представлено 13 партий по полутушам и по четвертинам. Всего это составило 147 по-

от 29 апреля, № 43 от 30 апреля, № 44 от 5 мая, № 45 от 6 мая 1987 года.

Все вышеперечисленные партии мяса были признаны годными для реализации, как в торговую сеть, в общественное питание, так и в промпереработку. Исследования проводились сотрудниками лаборатории Республиканской СЭС Абхазской АССР.

Вся вышеперечисленная партия говядины была использована только лишь в колбасном производстве, с соблюдением инструкции и с соответствующим разбавлением 1:10. Готовая продукция с использованием вышеуказанного мяса дополнительно исследовалась на содержание РВ в Республиканской СЭС, которое подтверждается протоколами: 31а, 34а, 33а, 33б, 35а, 36а, 37а, 39а, 41а, 38, 42, 44, 45а, 43а, 45в, 45б, от 2, 14, 16, 18, 22, 23, 24,

во исполнение приказа Госагропрома ГССР от 15 декабря 1987 года № 932 централизованно было завезено в январь—феврале 55,5 тн. мяса — свинины с повышенным содержанием РВ, выработанного 3 июня 1986 г. Калининским мясокомбинатом Белорусской ССР. В качественном удостоверении указано: «На основании зак-

**И. о. директора И. А. ГАХАРИЯ, исп. Г. А. КОЛИАШВИЛИ,**

გ ა დ ა ვ ა ტ ი რ ს ა ვ ა ბ :

?!  
გ ა დ ა ვ ა ტ ი რ ს ა ვ ა ბ :

Handwritten document with signatures and stamps. Includes text: 'Заместитель Главного государственного санитарного врача' and 'Заместитель Председателя Госагропрома СССР'.

Official document with stamps and signatures. Includes text: 'РАЗРАБОТАНО', 'СОГЛАСОВАНО', and 'Начальник Главного управления ветеринарии с государственной ветеринарной инспекцией'.





# „პერესტროიკა“

## კურთხეობა უნებური ბოლშევიკური რუსიფიკაცია

ე. წ. „დემოკრატიული რუსეთის“ წარმომადგენლები სკკპ და სსრკ-ის უმაღლეს საბჭოში მოკრძალებულად აცხადებენ: „პერესტროიკა“-გარდაქმნის სირთულეთა ძირითადი მიზეზი კონცეფციის უქონლობაში უნდა ვეძებოთ. ვფიქრობთ, რომ ეს არ შეესაბამება რეალობას, რამეთუ შეუძლებელია გარდაქმნას ის, რაც არ ექვემდებარება „პერესტროიკას“. საბჭოური იმპერია, რომლის გარდაქმნაზეც ვსაუბრობთ, სტალინის პირადი კაპრიზების შედეგი როდი გახლავთ, არამედ რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე—იმპერიის მოდერნიზებული ვარიანტი. „პერესტროიკა“, რომელიც შენდებულადაა ანტი-სტალინური პასი-ათს ატარებს, ხრუშჩოვის ეპოქის მსგავსად, სტალინის პიროვნების განქიქების იქით არ წასულა. და ეს გასაგებია, რამეთუ ლენინის-სტალინის ფუნქციონირების პრინციპები: კომუნისტური პარტიის ერთპიროვნული დიქტატი, სოციალიზმის ექსპორტი, ბოლშევიკური რუსიფიკაცია დღესაც იმპერიის შენარჩუნების ძირითადი გარანტიაა.

მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში დაწყებული დემოკრატიზაციის პროცესი და მი-სგან გამომდინარე ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა ბევრწილად პოულობს იგივეობას იმ პროცესებთან, „პერესტროიკას“ რომ მოჰყვება საბჭოთა კავშირში. სხვა პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად მრავალგვაროვანი პარტიებიც შეიქმნა, მაგრამ თუ ცენტრისტული პარტიის (რსდმპ) შორსგანჭვრეტული მიზანი იმპერიის მოდერნიზება გახლავთ, პერიფერიების ეროვნული პარტიების ამოცანაა დამოუკიდებელი სამშობლოს განთავისუფლება იყო. ცხადი ვადა, რომ ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესში ამ პარტიებს შორის რადიკალურად გაიზრდებოდა წინააღმდეგობა, რაც რუსეთის იმპერიის საფრთხის წინაშე დაყენებდა. ცენტრისტული პარტიის კლასობრივ ლოზუნგს „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ პერიფერიებში (თუნდაც საქართველოში) დაუპირისპირდა ეროვნული ლოზუნგი: „ქართველებო ყველა კლასისა, შეერთდით!“ რსდმპ ლიდერი მოურიდებლად აცხადებდა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეში მცხოვრები ხალხების, მართალია შორეულ ეპოქაში, მაგრამ მაინც ასიმილაციის აუცილებლობაზე: „...პროლეტარიატი... ყოველი ნაციის ეროვნული განვითარების დაცვას ვერ იყისრებს... სიხარულით ეგებება ყოველ ასიმილაციას, თუ იგი ძალდატანებისა და პრივილეგიების საშუალებით არ ხდება“ (ულიანოვ-ლენინი, კრიტიკული შენიშვნები ეროვნული საკითხისათვის, „პროსვეშჩენი“, 1913 წ. № 10, 11, 12). ამ აზრს უწყობდა იზარებდნენ პერიფერიებში დენაციონალიზებული მარიონეტი „ინოროდები“ ბოლშევიკ-მენშევიკები. ამ ქართველი სოციალ-დემოკრატიის წ. მახარაძის პოლიტიკა: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორების გამომხატველია“ (ფ. მახარაძე თხზ. IV, გვ. 129).

რუსეთის იმპერიის თავისებურებაა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სპეციფიკურობიდან გამომდინარეობს.

თუ ინგლისის, ესპანეთის, პორტუგალიის იმპერიებს დაპრობითი პოლიტიკის შედეგად საკუთარი ტერიტორიებისათვის მოსაზღვრე ქვეყნების არც ერთი მტკაველი მი-წა არ მიუთვისებიათ, რუსეთის იმპერია სწორედ მიწების მიტაცების წილ განიერყო, მაგრამ მხო-

ლოდ ტერიტორიული შემოერთება პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობის გამო (ხშირად რუსეთისათვისაც საზიანო) არ კმაროდა იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. საჭირო იყო მტკიცე გარანტი შემოერთებული მიწების სამუდამოდ ფლობისა, გამოსავალი—მიტაცებულ მოსაზღვრე ტერიტორიებზე რუსთა კომპაქტური დასახლებების შექმნა, რასაც თან სდევდა აბორიგენი მოსახლეობის აყრა, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გარეუბნება. შემდგომ ხანებში რუსთა მიგრაციულმა პროცესებმა ისეთი ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომ მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე სტუმრები (რუსები) ზოგ ადგილას სჭარბობდნენ კიდევ მკვიდრ მოსახლეობას.

ამჟამად, რომ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სპეციფიკურობამ ბევრწილად განაპირობა რუსეთის იმპერიის განვითარება არა სიღრმისეულად, არამედ სივრცეში. აქედან პანიკური შიში ქვეყანაში ნებისმიერ პოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც ყოველთვის იმპერიის მოსალოდნელ ნგრევასთანაა დაკავშირებული და, ამდენად, უცილობლად მოითხოვდა გზების ძიებას კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. პირველი ასეთი მცდელობა ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალება იყო. დემოკრატიულმა პროცესებმა, რომლებიც ნებისმიერ თუ უნებლოდ მოედო რუსეთის იმპერიას, არნახულად გამოადვილა წინათ დაჩაგრული ხალხები. ევროპაში კულტურას ნახარები ქართველი ახალგაზრდობა ნათლად ხედავდა, რომ დამონებული სამშობლოს ზნა ეროვნულ კონსოლიდაციაში და ილია ჭავჭავაძის საბრძოლველ სიტყვების: „ჩვენნი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ პრაქტიკულ განხორციელებაში იყო. მაგრამ ფიზიკობდნენ რუსეთის იმპერიის მოდერნიზების თეორეტიკოსები. ფრიად მაკედონებელი, ერთგვაროვანი საზოგადოებრივი წყობის (სოციალიზმის) აშენების კონცეფცია, დენაციონალიზებული ბოლშევიკური პარტიის ერთპიროვნული დიქტატი და შორსგანჭვრეტელი ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ თუ გადაარჩენდა რუსეთის იმპერიას აზვირთებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან. **ბადაბარჩინა კიდეც!**

დაიწყო რუსეთის იმპერიის მოდერნიზება სოციალიზმის რელსებზე. პიროვნების კულტურა, სუბიექტივიზმის და ე. წ. „ზასტოსი“ ეპოქით მთავრდება ბოლშევიკური რუსიფიკაციის პირველი ეტაპი.

რუსთა კომპაქტური დასახლებების შექმნას, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა მემკვიდრეობით მიიღო ცარიზმისაგან, ინტენსიური ხასიათი მიეცა ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქაში. დღესდღეობით შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობა მკაფიოდ ადასტურებს ზემოთქმულს. მოვიყვანოთ სტატისტიკური მონაცემები: მოლდავეთის მოსახლეობა 4147 ათასი კაცი; მოლდავეთი—63,9 პროცენტი, ტუსი—27 პროცენტი, ლატვია—2622 ათასი კაცი, ლატველი—53,7 პროცენტი, რუსი—40 პროცენტი, ესტონეთი—1542 ათასი კაცი; ესტონელი—64,7 პროცენტი, რუსი—32 პროცენტი. ყაზახეთი—16028 ათასი კაცი; ყაზახი—36 პროცენტი, რუსი—47 პროცენტი, ყირგიზეთი—4051 ათასი კაცი; ყირგიზი—47,9 პროცენტი, რუსი—25,9 პროცენტი. არაფერს ვამბობთ ციმბირზე, სადაც რუსები აბორიგენ მოსახლეობას საგრძობლად სჭარბობენ.

სსრკ-ში მიმდინარე პროცესებმა არნახულად გამოაღვიძო ჩაგრული ხალხების ეროვნული თვითშეგნება. მოკავშირე რესპუბლიკებში შექმნილმა საბაზო ფორმებმა თუ ა-

ოზიციურმა გაერთიანებებმა კრემლის წინაშე წამოაყენეს მოთხოვნა პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ. იმპერიას, აშკარად ბოლშევიკურ, ისევ დაემუქრა დანგრევის საფრთხე.

ე. წ. „პერესტროიკის“ ეპოქასთან ერთად ჩვენში იწყება ბოლშევიკური რუსიფიკაციის მეორე, უფრო საშიში ეტაპი, რამეთუ ქმედებაში შემოდის ასიმილაციის „პუმანური“ ფორმები, რომლის ბრწყინვალე დასტურია სკკპ ახლად მიღებული პლატფორმა ეროვნულ საკითხში. ბოლშევიკური რუსიფიკაციის „პუმანური“ გზის თეორიული დამუშავების პერეგრატივა ბატონ ულიანოვს ეკუთვნის. იგი წერდა: „სოციალიზმის მიზანია, არა მარტო მოსკოვში, არამედ ყველა აუცილებელ შერწყმადეც მივა მხოლოდ ყველა ჩაგრული ერის სრული განთავისუფლების, ე. ი. მათი გამოყოფის თავისუფლების გარდაუვალი პერიოდის შექმნა“ (თხზ. ტ. 22, თბ., 1951, გვ. 178).

**ჯერ ერთა თვითგამორკვევა, მერე შირწყმა!** ასეთია „პუმანური“ ასიმილაციის კონცეფცია! რამ განაპირობა ადმინისტრაციულ-მმართველობითი ფორმებიდან „პუმანური“ ასიმილაციის რელსებზე გადასვლა? უპირველეს ყოვლისა, მტკიცე გარანტია: რუსთა კომპაქტურმა დასახლებებმა სსრ კავშირის უკიდევანო ტერიტორიაზე, „გათიშე და იბატონე“-ს პრინციპით მიღწეულმა ერთაშორისმა სიძულვილიმ ყოველ მოკავშირე თუ ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხელგულწოდ შექმნილმა ეროვნულ-ტერიტორიულმა პრობლემებმა, მეორე, აპოკალიფსის მოლოდინში პანიკით მოცული სოფლიო საზოგადოებრიობის „სოციალური“ საბჭოთა დემოკრატიზაციისათვის, რომელსაც ჩირადაც არ უღირს „საბჭოური რუსეთის ტერიტორიაზე“ მცხოვრები მცირერიცხოვანი ჩაგრული ერების ბედი, „რუსულ დათვთან“ პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნების მიზნით.

გარდაქმნის თეორეტიკოსებმა ეროვნულ საკითხში თავად ბატონ ულიანოვის ზოგიერთი პროგრესული კონცეფციაც კი არად ჩაავდეს. სკკპ ეროვნულ პლატფორმაში უარყოფილია ლენინური ეროვნული პოლიტიკის ისეთი ფუნქციონირების პრინციპები, როგორცაა ერთა თვითგამორკვევა და სსრ კავშირიდან ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლება. ვ. ი. ლენინი ნაშრომში „სოციალური რევოლუცია“ წერდა: „ერთა თვითგამორკვევის უფლება ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლობის უფლებას პოლიტიკური გაგებით, მჩაგრელი ერისაგან თავისუფალი პოლიტიკური გამოყოფის უფლებას“ (თხზ. ტ. 22, გვ. 177).

ამ კონცეფციამ სრული ტრანსფორმაცია განიცადა აშხ. მ. გორბაჩოვის გამოსვლაში სკკპ ცკ პლენუმზე, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთა თვითგამორკვევა არ შეიძლება... „შემოვფარდეთ... მხოლოდ გამოყოფით“, რამეთუ თურმე ამით ვალრიბებთ ეროვნული საკითხის გადაჭრის ამ უნივერსალურ საკითხს. აშხ. მ. გორბაჩოვის ერთა თვითგამორკვევა „პერესტროიკის“ ეპოქაში ესაბება, როგორც „...თითოეული ხალხის უფლება ისარგებლოს სუვერენიტეტის ყველა სუვერენიტეტის“ (თხ. განვით. „კომუნისტი“, 2.09. 1989 წ.). მაგრამ ვანა გამოყოფის უფლება არ მოიცავს ყოველგვარი სუვერენული უფლებების გაფართოებას! აშკარაა, რომ ერთა-

თვითგამორკვევის „პერესტროიკის-ებური“ კონცეფცია გამიზნულია სხვა, უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებისათვის.

სკკპ ეროვნულ პლატფორმაში უცვლელია უკუგადაბრუნება სსრკ შექმნის ფუნქციონირების პრინციპი: მასში შემავალი სუვერენული რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება.

პარადოქსულია, პიროვნებაში უცვლელია „პუმანური“ ეპოქაში მიღებულ კონსტიტუციებში ერთა თვითგამორკვევის ეს ლენინური პრინციპი ხელშეუვალი დარჩა (ქადაღდზე მაინც!): მუხალი 72. ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სასრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება (სსრკ კონსტიტუცია. თბ. 1989, გვ. 28). გარდაქმნის დროს დოკუმენტში კი არ ფიგურირებს, მიზეზი გასაგებია. გარდაქმნის აქილევსის ქუსლი ეროვნული საკითხის მოგვარებაა. თანხმობაში გამოცდილებამ აშკარად ცხადყო, რომ გარდაქმნა ფეხს მოიტეხდა სწორედ ეროვნულ საკითხში. გაითვალისწინეს რა ეს საშიში სიმპტომები, „პერესტროიკის“ თეორეტიკოსებმა ამჯერადაც „მინუა ლენინა“ ასეთი რამ ჩაწერეს სკკპ ეროვნულ პლატფორმაში: „ყველა საბჭოთა ხალხის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა ის, რომ კანონმდებლურად დამკვიდრებულიყო რუსული ენა, როგორც საერთო სახელმწიფო ენა, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოიყენება და ფუნქციონირებს თანასწორუფლებიან საფუძველზე რესპუბლიკის სახელმწიფო ენებთან ერთად“ (თხ. განვით. „კომუნისტი“, 26. 09. 1989 წ.). ვ. ი. ლენინი ნაშრომში „საბჭოთა თუ არა სა-ვალდებულო სახელმწიფო ენა“ წერდა: „...სავალდებულო სახელმწიფო ენა დაკავშირებულია იძულებასთან, ჩავგვრასთან და... აი რატომ ამბობენ რუსი მარქსისტები, რომ აუცილებელია—სავალდებულო სახელმწიფო ენის არარსებობა...“ (თხზ. ტ. 20, გვ. 72-73).

რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება ფაქტურად არარად ავდებს მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ენების სტატუსს და, ამდენად, ეროვნულ ენათა განვითარების ანტიპუმანურ, ანტიდემოკრატიულ, შოვინისტურ კონცეფციას წარმოადგენს.

სკკპ ეროვნულ პლატფორმაში, მ. გორბაჩოვის გამოსვლაში სკკპ ცკ პლენუმზე სიტყვაც არ თქმულა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების სკკპ-დან გამოყოფის თაობაზე. ამდენად, დღის წესრიგში არც რუსეთის ეროვნული კომპარტიის შექმნის საკითხი მდგარა. და ეს გასაგებია. სკკპ, დღიდან თავისი შექმნისა, არის სწორედ რომ რუსეთის კომპარტია, რომელიც თავის თავში აერთიანებს, როგორც ფილიალებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებს. ამ ფუნქციონირების პრინციპს ჯერაც ტაბუ ადევს. სკკპ, გაუღნითილი რუსულ—ინტერნაციონალისტური სულიკვეთებით, ერთგვაროვანი სოციალური წყობის (სოციალიზმის) პირობებში ძირითადი გარანტია ძირმომავალი ბოლშევიკური იმპერიის შენარჩუნებისა.

რუსეთის იმპერიული განვითარების სპეციფიკა, მე-20 საუკუნეში მისი მოდერნიზების მცდელობანი ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალება, ხრუშჩოვის რეფორმები, „პერესტროიკა“—გარდაქმნის ეპოქაში სკკპ-ის მიერ მიღებული დოკუმენტი ეროვნულ საკითხში კიდევ ერთელ ცხადყოფს იმ კუშიარტებს, რომ ლენინიზმი და „პერესტროიკა“ ერთი მდელი მხარე მხარეა, რაც სხვა არაფერია—თუ არა ბოლშევიკური რუსიფიკაცია.

**გამოიძახილი უკონიციანი**  
**კაბივთაშულო დოღო**  
**ნიოლოზის ასულო!**

მე და ჩემმა მეუღლემ—სერგეი ბანბამ წავიკითხეთ გაზეთ „სამრეკლოში“ გამოქვეყნებული თქვენი წერილი.

თქვენი მწუხარების შემსუბუქება არავის ძალუძს, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ სიმართლე. მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში—ესაა საერთო ტრაგედია, დილუნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები. მწუხარებამ და გლოვამ დაისადგურა თქვენს ოჯახში.

გულსატყნია და მიძიმა მიმართო დედას, რომელმაც საკუთარი შვილი დაპატიმრა, მაგრამ ჩვენ მოვალედ ვთვლით თავს, გითხრათ, რომ ყველაფერი გაგვკეთეთ, რაც შეგვეძლო. ჩვენი სინლის სუფთა მიცვალებულისა და თქვენი წინაშე.

იმ დროს, როდესაც მოხდა ადამიანთა შეტაკება ჩვენი სახლის გასწვრივ, მე სადარბაზოში შემთხვევით ვნახე დაპირილი მამაკაცი, იმწამსვე დავურეკე მეზობელს და სასწრაფო დახმარების სადგურს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვედი შინიდან, ჩვენს მოედანზე არავინ იყო და დავმშვიდდი, ვიფიქრე, დაპირილი უკვე წაიყვანეს-მეთქი.

ამ დროს ჩემი ქმარი სასტუმრო „თბილისი“ ახლომასლო იყო. ევბოდა შვილის საძებრად, ჩვენი სახლიდან 2-3 კილომეტრის მოშორებით. ჩემი მეუღლე იმ ადგილას ნახეს როგორც ქართველი, ასევე აფხაზი ეროვნების პატივსაცემი პირებმა, მათ შორის ქართველმა—უნივერსიტეტის მასწავლებელმა სერგო შარიათ თავის აშანაგებთან ერთად. როცა შვილი ვერ იპოვა, ჩემი მეუღლე სახლში დაბრუნდა.

ამ დროს გაიშა ტელეფონის ხმა. რეკავდა ჩვენი მეზობელი, მან გვაცნობა, რომ ჩვენს საოთხულს ჩემოთ იყოფებოდა დაპირილი ადამიანი.

ჩემმა ქმარმა გამოიძახა სასწრაფო დახმარების მანქანა, მაგრამ იგი არ გამოჩენილა. ხელმეორე დარეკვის შემდეგ სადგურიდან გვიდასუსვეს, მანქანას თქვენს სახლამდე არ უშვებენ. ამის შემდეგ ჩემი მეუღლე გავიდა ქუჩაში, მილიციის მუშაკთა დახმარებით გააჩერა პირველივე სასწრაფო დახმარების მანქანა და დაპირილი მამაკაცი საავადმყოფოში გაგზავნა.

ყოველ ოჯახს აქვს თავისი პატიოსნება, თავისი სიამაყე, თავისი ღირსება. ყველაზე უმძიმეს წუთებშიც კი ჩვენ არ შეგვიბოლავს არც პატიოსნება, არც სიამაყე, არც ღირსება.

გამომიძიებელი, რომელსაც მიჰყავს საქმე თქვენი შვილის მკვლელობის შესახებ, ცუდ, მტრულ დამოკიდებულებაშია ჩემს მეუღლესთან და სწორედ აქედან ეძლევა არასწორი შეფასება მის ადამიანურ საქციელს.

მე მბადალდ ვხრი თავს თქვენი მწუხარების წინაშე, მერწმუნეთ, რომ ჩვენთვისაც დიდი მადნიერება იქნებოდა, რომ შესძლებოდათ თქვენი შვილის გადარჩენა. მაშინ, ცხადია, არ იქნებოდა საჭირო არც თქვენი და არც ჩვენი წერილი და ჩვენ უბრალოდ დამოყრდნობოდით.

ამ წერილს გწერთ არა თავის მართლების მიზნით, ამას არ მოითხოვს საჭიროება. მე მინდა, რომ თქვენ და მთელმა საზოგადოებამ სიმართლე გაიკვთ.

**თქვენდამი უღრმესი პატივისცემით — სპეცლანს ბანბამ.**

**მინაწარი: ქალბატონო სვეტლანა, გვინდა ვირწმუნოთ თქვენი გულწრფელობა. ჩვენთვის მაინც გაურკვეველი რჩება, დარეკვისას რა უთხარი მეზობელს... გამოუტყდი თავს, რომ ბოლომდე ვამოუტყდი-ესდით მომავლადის ბედით...**

**მრავალ კითხვას აღვიძრავს თქვენი მეუღლისადმი გამოძიებლის დამოკიდებულება; თუმცა ამას, ალბათ, მისგან უფრო შევითხოვთ...**





ბასმით კრილოვი მრისხანე მგლის შარი, ციდა ბატონის ლულულით თავის მართლება და მინც, მგელს ეყო ვაჟაკობა — პირდაპირ ეთქვა, რა გქნა, ბატონი ხარ, ეს კი დანაშაულია.

ჩვენს გარშემო მოვლენათა განვითარება იმ სტადიაშია, ვერ არ გეტყვიან პირდაპირ — ქართველობა დიდი დანაშაულია, ამას გვიან მოგასვენებენ, თუმცა ეს იმ შემთხვევაში, მსაჯულმა მგლისოდენი ზნეობით იხელმძღვანელა თუკი, არადა, ზუთქიმინი ვარსკვლავის შუქს ისეთი ფარდა წარემძღვარა — ზურგიდან მოპარვით ხალიჩისაკენ ჩვენი გათრევა მსოფლიოს თვალში იკითხება, როგორც რაინდთა ხელის ჩამორთმევა. ქურდული მოგვერდისაგან ბეჭის ამოგდებას უფროს ძმათა კონსილიუმმა თანდაყოლილი გულის მანკის დიაგნოზი დაუსვა და ჩვენი კომუნალური ბინის ერთ-ერთი სართულის სამკურნალოში პიპოკატეს ფიცთან დამღურებულ მკურნალებთან ჯერჯერობით საპყრის უფლებით მოგვათავსა.

ამ დროისათვის გაითამაშა „ფიცვერცხლნა-ქამმა უფროსმა ძმამ“, სახაროვი და სობჩაკი „შემოგვაშველა“, ტარაზევიჩი და როდინოვი გადაიყვანა, ჩვენს მაგინებელ საკუთარ პრესაში თარიღდევრ „გვითანაგრძნო“. ლენინგრადის ტელევიზიამ საქართველოს „პირისუფლობა“ შეიფერა, თუმცა, ამ დროსაც ვერ შეშინებულა ფიქრობს (ბუნებაა მისი): თურმე ნუ იტყვი, 9 აპრილის სისხლისღვრა ჩვენივე ვითომთავრობის ბრალი ყოფილა, კრემლში ეს მეორე დილით გაუგიათ, არადა, აქაური ცრუ ზელისუფლება მოსკოვში სპეცრეისთ ჩაფრენის გარეშე დამლაგებელსაც ვერ ინიშნავს.

სულ ტყუილია სახაროვის მიუტომლობა, მსაჯულმა ამან „მკირეიმბერია“ გვიწოდა. სობჩაკის ჰუმანიზმმა ვერ გაბედა მავზოლეუმთან ხმაბალა ეთქვა: ჩვენს სინდისზეა საქართველოს პარტია. რაც შეეხება „არჩარეას“ საქართველოს საშინაო საქმეებში, მეც კარგა ხანს მეგონა ვ. ი. ლენინის განმარტება ორი რუსეთის შენახებ ერთადერთი ქვეშევრდობა.

მაშინ თვითონ რევოლუციის ბელადი, 1921 წელს საქართველოს ანექსიის თავკაცი, რომელი რუსეთის შეილა?

არა, არა, როგორმე რუსეთის გუბერნიების ფერმად ქცეულ ჩვენს შვილსებშირა კოლხურ პლაჟებს აღმღვრეველი სისხლითა და ამ უშავებელი გონებით ჩაუღროთ, კაფე-ბარებში დიდიდანვე ნუ შევალთ, ერთხელ და სამუდამოდ მოვერიოთ ზამთრის გრძელი ღამის ძილქუშს, რიკრეიდანვე ფხიზლად წამოვდგეთ და დავასკვნათ, იმპერია საბოტაჟსაც ვაკადრებს, ეკონომიკური ბლოკადის სამხარეულშიც ჩაგვახედებს, მოტყუებულ და მოშობულ ჩვენსავე ჯილავს დავგიპირისპირებს, ზნეობრივად გაგვიანაგებს და ასე დავგიპირებს ფიზიკურ მოსპობას. აი, „მეტრ“, „ურდვევ“, „სამუდამო“ კავშირში ჩვენი პერსპექტივა. მაედურია რუსული პრესის თანაგრძნობაც კი, ხალხო!

საზოგადოებრივი აზრის მიმხრობისათვის ამ პრესას არ ეყო რა პროპაგანდისტული არსენალი, ცრუინფორმაციის წყაროებს

გვერდში ამოუყენა მოდერნისტულად გამოცემული, სქელტანიანი ჟურნალი «Известия ЦК КПСС».

ბარაქა, „აიდგოლარასა“ და „ადამონ ნი-ბასს“, „ინტერტრონტებსა“ და კომუნალური სახლის მეზობლებს, ეს რა გავლენიან ოჯახს დაუმოყვრდნენ!

აი ახალი ჟურნალის თუნდაც მე-10 ნომერი (1989 წ.), მისი ყდაა ახლებური, თორემ მეთოდები „პრადისა“ და „იზვესტიასია“ — ნაცადი, უმცდარი, ორპირი... სად არჩევს მაინც ამდენ ანტიპარტულ, ანტილიტერტურ, ანტიესტონურ და სხვა ანტიწერილებს. მარტო ჩვენ ათობით დეპეშა გავაგზავნეთ, სერთო ჯამში 600-მდე მეტი კაცის ზელმოწერით, საპროტესტო, საგანგაშო 15 ივლისამდე. შემდეგაც, გუშინწინ, გუშინ, საქმე არ გაქვს?! სამაგიეროდ, აი, რა შინაარსის წერილებზე არაან

შემდეგ ლაპარაკია, თითქოს ექსტრემისტები ცდილობენ კომუნისტებთან განგარიშსწორებას და სოციალიზმის დამბობას, ბოლოს კი... «Считаем, что именно такая позиция привела к трагическим апрельским событиям в Тбилиси». (გვ. 133).

სხვა სიკეთესთან ერთად რუსეთში „დანოსების“ სტილიც არ განვითარებულა. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ საკავშირო პრესაში ანტიპარტული კაჟაფონია, მე-19 საუკუნის „რუსის აფიცრისა“ და ქანდარმთა „რაპორტების“ ქსეროასლია.

«Известия ЦК КПСС»-ის რედკოლეგია სკვპ ცკ-ის ფოსტაში შემოსული წერილების საკურნალო მონტაჟს იმნაირად გეთავაზობს, მუქარის ქვეტექსტი იკითხება, ჭკუით იყვით, აი, რამხელა კოზირი გვაქვსო. „უწყინრად“, ვითომ შემთხვევით, თბილისელი კორესპონდ-

стические проявления в республике пока не столь значительны. Но если им не противостоять, то подумайте, к чему это может привести». (ვანუსკა-სი ი. ი. ქ. კაუნასი.—გვ.137).

ასეთი ჭეშმარიტებით ემსალათება თავის მრევლს ჟურნალი. ჩვენც, ოქვე „ინტერნაციონალისტი“ რუსის წერილიც წავიკითხოთ ამ გოლიათი საფოსტო ყუთიდან: ა. ვ. მალკინი, სკვპ წერი, ქ. ხარკოვი:

«Для меня, советского человека, олицетворением Родины является Россия — стеной хребет, на котором держится СССР. Поэтому очень волнуют раздающиеся во многих союзных республиках обвинения России в великодержавности... Нельзя допустить, чтобы наш общий дом — СССР разрушался вследствие чьих-то националистических амбиций». (გვ. 139).

ამხანაგო მალიკ, თუ თქვენთვის სამშობლოს განსახიერება რუსეთია, ქართველს საქართველო მიანჩია დედამშობლოდ. ასე ფიქრობს ესტონელიც, მოლდაველიც, ლიტველიც... აღიარებთ, ბევრ რესპუბლიკაში თქვენგან, ე. ი. რუსიგან განსხვავებულად ფიქრობენო. დალოცვილო, რატომ გგონიათ ქვეშევრდობა მისვლა რუსის პრიორიტეტი, რომ „ნაცენე-ბი“ (იმპერიული ტერმინი დღემდე ძალაშია) ამ უნარს მოკლებული იყვნენ. თუ თქვენს გრძნობას საბჭოთა პარტიოტიზმი ჰქვია, იგივე გრძნობა ჩვენთან ნაციონალისტობა რატომაა? მეორეც, საერთო სახლი გაქირებინა, ვერაინც დამარწმუნებს, არაუქნარა კაცს საკუთარი სახლი, ეზო-კარი არ ერჩიოს კომუნალურ ბინას, თუნდაც კეთილმოწყობილს.

რაც შეეხება „საბჭოთა საზღს“, სახლმშენებლობის პრაქტიკა სსრკ-ში გვარწმუნებს — ის ხუთბალიან მიწისძვრასაც ვერ უძლებს. ამიტომ ტყუილი გარჯაა თბილისელი ცანდაკოვის წერილიც:

«Проект платформы КПСС «Национальная политика партии в современных условиях» — важный шаг на пути построения социалистического правового государства».

რუსეთის დედამდინარე ვოლგა საკმაოდ ამღვრა. იგი არაა თავანკარა მდინარე, ვერც გახდებდა—რუსულ მიწაზე ვოლგა მართლაც გამკვირვალა, მაგრამ ქვემო წელში მის გაღმა-გამოღმა განფენილია უმცროსი ქმების სამოსახლოები, დიდთა. ამა ქვეყნისა ჭკუით, ხსნა ასეთ დასახლებათა გადარუსებაშია. ანუ დღევანდელი გაგებით „კომოსოვეტობაშია“. ამისათვისა, რომ ითხზებდა ეს შარიც, ღმერთი არაა, ჩვენს ვოლგის ქვემო წელიდანაც საკმაოდ შორს მოსალე ხალხი როგორ ავამღვრეთ მას? არ ვიცი, რას ფიქრობენ «Известия ЦК КПСС»-ის რედკოლეგიაში, მაგრამ უხუნესმა ხომ იცის, არაფერ შუაში ვართ, ნუთუ ღმერთი არაა ნათლისღების ათასი წლისთავის ზეიმგადახალი რუსეთში?

სამრი საჯანი 7 დეკემბერი.

# თქვენ ზევითა ხართ, მე—ქვევით...

დადარაჯებულნი. შუა მორგვიდან ჭკოთ ამოიღებენ, იყოს მხოლოდ ასეთი: დ. ვ. მარდიშვილი, სკვპ წერი, ექიმი, ქ. თბილისი:

«То, что произошло в Грузии, особенно в Тбилиси, — это результат ошибок и упущений бывших руководителей республики... Коммунисты отдали инициативу националистическим отношениям. Мне стыдно за свою республику». (გვ. 133).

ბნებმ კოლეგათაგანმა იზრუნოს მარდიშვილის სირცხვილისაგან აწეულ წნევაზე, ჩვენ კი იობის მოთმინებას ვუხმობთ და ბოლომდე ჩაევიტობთ, თუმცა განემარტოთ კი — რესპუბლიკის მთავრობა პატრონი მართლა ყოფილა, ყოჩად მას, ამ ერთხელ მაინც მოსკოვის დაუთმობად ჯარს თუ უსარდლა, რა ვუყოთ მერე—ერის დასამარხად, სამაგიეროდ, დამოუკიდებელი მოქმედება ხომ არის?!

ეს, ბატონო რედაქტორო, ეს ისეთი დამოუკიდებელი სპექტაკლია, რომლის რეჟისორიც, რაც უნდა იუაროთ, თქვენს რიგებშია.

წინ წავიდეთ, ცოტა ფრთხილად, მარჯვენა ხაფანგია, მარცხენა—სამოსტრელია. წინ მავთულხლართია, და მაინც გადავდგათ ნაბიჯი: კოლექტიური წერილი (სამოცი ზელმოწერა) ქ. თბილისიდან:

«С осени прошлого года население города, в том числе и мы, офицеры, прапорщики, рабочие и служащие, члены семей военнослужащих Закавказского военного округа, стали очевидцами разжигания националистических настроений...».

ენტების შემდეგ ლანის თავყრილობის „32000“ ზელისმოწერის ეთობა რიგი:

«Пора, наконец, решительно приступить к реорганизации не оправдавших себя политических институтов». (გვ. 133).

თუ თბილისელი რუსი ოფიცრები იკვირებენ, ოფიცოზი როგორ ურიგდება ქართველთა დედაქალაქში პოლიტიკური შეუსაბამოების მსხვერვის მოთხზვნებს (გაკვირებულთა რედაქციაც), „ლიზნის მიმართვაში“ დრომოქმულ სტერეოტიპებზე საუბარი წერილის ღირსებადაა წარმოჩენილი, რადგან მას ოქტომბრის პირმშო აფხაზეთის „32000“ წარმომადგენელი ავტორობს, თანაც საქართველოს ერთიანობის საზიანოდ. მაშ, როგორ, ამ შემთხვევაში, ეს ზნეობრივია. მაშასადამე, დასტურია, მერე რა, ლიზნის მიმართვა რომ ვ. ი. ლენინის მიერ სანქცირებული რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ხელყოფა, სამაგიეროდ, ლენინის სიცოცხლეში, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ანექსიასთან, სრულიად საქართველოს კონცეფციის ამოშანთვასთან ხომ კავშირშია.

ღნიშნული ჟურნალის „ინტერნაციონალიზმი“ ვლინდება იმაში, რომ უხვად ბუქდავს მსგავს წერილებს იმ რესპუბლიკებთან, სადაც ეროვნული მოძრაობა აღმავალია. თუმცა ამ რესპუბლიკებში მიტინგებსა და ფორუმებზე მიღებული ათასობით დეკლარაციები არა და არ ხვდება აქ, სამაგიეროდ:

«Я — литовец, но ненавижу национализм, который у нас получает распространение. Возможно национали-

## რუსლან მიძაბერიძე

### ვისია?

- ვისია ქალი ლამაზი, ან ყიზილბაშის სამშობლო
- ბოლოს და ბოლოს ვისი, ბოლნისი და დმანისია,
- ისევ საღაო გაგვიხდა, მაშინ დიდგორი რა არი,
- რაც ჩემ და ჩემი ძმისია, კრწანისი რა კრწანისია?!
- ჯერ რუსი შემოგვისია, არმოსათმენის მოთმენა
- მერე სხვა წამოგვისია, ძალიან საძრახისია,
- სუყველამ გულზე გვიკბინა, გადაგვაფიწყდა ნაომრება
- უბეში ვინც ჩაგვისვია, სისხლის გაღების მისია.
- ვისია ტურფა ქვეყანა, რომ აქ მხოლოდ ის ვიგულოთ,
- ეს მიწა-წყალი ვისია? ვინც ჩვენთან ძმობის ღირსია,
- იქნება, მართლა არ ვიციოთ, რადგანაც მიწა ჩვენს ფიქვეშ
- იქნება, მართლა სხვისია?! მამა-პაპათა ძვლისია.
- იქნებ აფსუას ეკირა, ვისია ეს საქართველო?
- ნაპირი შავი ზღვისია, უნდა გაირკვეს, ვისია!
- ანდა, ქსანი და ლიახვი, მისთვის სიკვდილი, კაცებო
- ოსების საბრძანისია?! სიცოცხლის დასაწყისია.

## კარალ მღვიმე

Большое многообразие иноязычных элементов, наблюдаемое в абхазских фамилиях, объясняется тем, что абхазская народность в процессе своего исторического развития пополнилась выходцами из других этнических групп.

(X. С. Бражба, Взыбский диалект абхазского языка, Тбилиси, 1964, стр. 249).

«...В одном только Гальском районе в 1937—38 гг. около 30 тысяч чистокровных абхазов (Кецба, Зухба, Бутба; Тарба, Маан, Чачба, и мн. др.) были записаны грузинами и затем ассимилированы почти полностью. То же самое вот уже несколько десятилетий пытаются проделывать над всем абхазским народом».

«ЕДИНЕНИЕ — АИД-ГЫЛАРА»; 26 ноября, 1989 г., стр. 2.

აფხაზეთის სახალხო ფრონტსა და რუსთაველის საზოგადოებას მოქალაქე ირინა ერასტოს ასული კუპრავას (ქ. სოხუმი. კუბიშვიის 80).

### მანცხადება


როგორც ცნობილია, აფხაზი ეროვნების ისედაც მცირე რიცხვი ქართველთა ხარჯზეა ხელოვნურად გავრდილი. ამ შორსგამიწნული ფაქტის ერთ-ერთი დასტურია პირადად ჩემი მაგალითი: წარმოშობით ქართველს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკაში 1985 წელს დაბადებულს, როგორც ყველა ჩემს თანასოფელს, პასპორტში მიწერია ეროვნება—აფხაზი.

როგორც მრავალი ჩემი მსგავსი, აქამდე ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, რამდენადაც „აფხაზი“ მხოლოდ ეთნოსის აღმნიშვნელად მიმაჩნდა.

დღეს, როდესაც ლიზნში შეითონილი „აფხაზური წერილის“ მწარე შედეგს თვალნათლივ ვხედავთ, როცა უკანაა 1 და 9 აპრილის, 15-16 ივლისის ტრაგედიები, როცა ჩემი კირანხული საქართველო იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მე, სისხლითა და სულით, სიტყვითა და საქმით, მრწამსითა და შეგნებით ქართველს, ქართული ოჯახის დიასახლისს, სამი-ქართველი შვილის (ყველა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციფიკისტია) დედას (ერთი ეროვნული მოძრაობის აქტიური მოწაწილეთა), ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს (სტაჟი 82 წელი), ქართული ენისა და საქართველოს მოთაყვანეს, მის ნათელ მომავალზე მეტყვნებს, ჩემი ეროვნული თვითშეგნება მკარანხობს, აუცილებლად მივიჩინო, აღმიდგინონ ჩემი ნამდვილი ეროვნება და ჩამიწერონ პასპორტში—ქართველი.

ი. ე. კუპრავა, ქ. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.





# საქართველს სამართალი?

ამა წლის 30 ნოემბერს „მომავალს“ აჩვენა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრში—ქალაქ ცხინვალში 28 ნოემბერს გადაღებული კადრები. მოვისმინეთ იქაური სახალხო ფრონტის „ადამონ ნიხასის“ ერთ-ერთი ლიდერის ალან ჩოჩიევისა და სხვების ინტერვიუ.

ვუსმენდი მათ და მომავალდა აფხაზეთის ამბები. იგივე წინადადებები, იგივე მოთხოვნები, იგივე ანტიქართული სულსკვეთება! ძალაუფლებრივ გაიფიქრე: ერთი ცენტრიდან ხომ არ აძლევდნენ ინსტრუქტაჟს, ნუთუ შეიძლება ასეთი ანალოგიურობა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოვლენების? იქაც და აქაც აგრესიული განწყობა და მოქმედებაში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის, სამხრეთის დროშის მიმართ, რომელსაც მინც და მინც „მეწიფივთრს“ უწოდებენ, ქართული ენის იგნორირება და რუსული ენის არაბუნებრივი ხაზგასმით გამოყენება იქაც, სადაც ამის საჭიროება არ არის, უარყოფა ქართველი ხალხის უფლებებისა ამ ავტონომიური ერთეულების მიწაზე, დეკლარაციის მოთხოვნები განსაკუთრებული მდგომარეობის გამოცხადებისა და მოსკოვისადმი დაქვემდებარებისა—ასეთია ერთმსგავსების გარეგნული სახე.

რამდენი მოდავე ჰყოლია საქართველოს შინ და გარეთ! თითქოს არაფერია ეჭვი არ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქი შექმნილია ქართულ მიწა-წყალზე — ისტორიულ სამაჩაბლოში. ვაი-და მხოლოდ შეიღ ათეულამდე წელი და დღეს უკვე ზოგიერთი ოსი ქართველობას უკრძალავს ამ ადგილის „სამაჩაბლო“ მოხსენებას. „სამაჩაბლო“ ოსებისთვის შეურაცხყოფაა. რატომ? რისთვის? თვით ასე დაყენება საკითხისა მართლაც რომ შეურაცხყოფაა... ოღონდ ქართველთა...

მარტო ის ფაქტი, რომ სამაჩაბლოში უკვე კარგა ხანია დასახლდნენ ოსები, სულაც „არ კმარა“ ამ ქართული მიწა-წყლის „ოსურად გადაქცევისა“ და საქართველოდან გამოყოფისათვის. ბოლოს და ბოლოს იქ ჯერ კიდევ ცხოვრობენ ქართველები.

ალან ჩოჩიევისა და მისი თანამოაზრეების ლოგიკით რომ მივუდევთ საქართველოს დაყოფას, ჩვენი მიწა-წყლისაგან ცოტა რამ დარჩება. აქ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით დასახლდნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები: რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძენები, ლეკები, ებრაელები... და ერთნაირი უფლებამოსილებით ცხოვრობენ. მაშ, მათ მიერ დაკავებული ფართობები საქართველოს ადარ ეკუთვნის და მათ შეუძლიათ მოიხზონ საქართველოდან გასვლა, მისი დაქუცმაცება? არ კმარა ის დანაკარგი, რომელიც განიცადა საქართველომ შეიღ ათეული წლის წინათ, როცა მაშინდელი ცენტრის „ბრძანული“ დიპლომატიის შედეგად ჩვენი მიწა ოსტატურად დაინაწილეს რუსეთმა, აზერბაიჯანმა, თურქეთმა...

სად არის ღმერთი და სამართალი? ნუთუ ასე უმადურად უნდა მოხრუნებოდა ქართველ ხალხს სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა? მხოლოდ ებრაელებმა ერმა, რომელიც სხვაზე აღრე დასახლდა საქართვე-

ლოში, ჩვენი ენა და ადამიანური აითვისა, დაგვიფასა და, იმედია, მომავალშიც დაგვიფასებს.

ახია ჩვენზე! თვითონვე მოეჩვენა ჩვენი თავი დაბალი ლობღესანამ გულუბრყვილოდ ვტყვებოდით ჩვენი ინტერნაციონალიზმით, სტუმართმოყვარეობით და ყველაფერს ვაკეთებდით, რომ პრაქტიკით დაგვემტკიცებინა ყოველივე ეს, მანამ სხვები ნელ-ნელა სახლდებოდნენ, მკვიდრდებოდნენ. და როცა ჩვენზე მრავალრიცხოვანმა მტერმა თავში ჩაგვარტყა, დანარჩენმა „ღორბუცელა სტუმრებმა“ მოისურვეს ჩვენი დაჩაგვრა...

მიწის და ენის გარდა, ბევრ სხვა რამესაც გვეცილებდნენ ოსი და სხვა ექსტრემისტები. თურმე „ერთსავე“ ქართული კი არა, ოსური გვარი ყოფილა, „აბაშიძე“—აფხაზურია... მეც ბევრჯერ მიმტკიცებდნენ, რომ ჩემი გვარი ოსურია. დღემდე ვერ გამიგია ერთი რამ: განა „ცხოვრება“ და „შვილიც“ ქართული სიტყვები არაა? მაგრამ ვინ გისმენს, მინც თავისას გაიძახინა...

საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრმა ე. ბაკატინმა, შეეხო რა სოხუმში ივლისში მომადარ ტრაგიკულ ამბებს, „განუშარტა“ დეპუტატებს, რომ „აფხაზეთსა და საქართველოს შორის“ გამწვავდა ურთიერთობა. განა არ უნდა იცოდეს საკავშირო მასშტაბის მოღვაწემ, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და არა შეზოხილი რესპუბლიკა.

სექტემბერში სსკპ პლენუმზე თავდაცვის მინისტრმა დ. იაშვილმა თავის გამოსვლაში უკმაყოფილება გამოთქვა გ. გუმბარძის მიერ გამოთქმულ აზრზე, მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული საჯარისო ნაწილების აღდგენის შესახებ. ჩვენ არ დავუშვებთ საბჭოთა არმიის აულეზე დაყოფას. ნუთუ არმიის გენერალმა და უნდა იცოდეს, რომ საქართველო „აულეების“ რესპუბლიკა არ არის?

ახლან განეთი „ზეცესტია“ აუწყებდა მკითხველებს, რომ საქართველოდან ჩამოსულმა „დესანტმა“ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილებში მოინახულა თანამემამულენი, მათ შორის ქართველები, მეგრელები, აჭარლები... განა არ უნდა იცოდეს ამ გაზეთის „მალაინტელექტუალურმა“ კორესპონდენტმა და რედაქციამ, რომ ქართველობა სწორედ მეგრელებისაგან, აჭარლებისაგან, სვანებისაგან, გურულებისაგან, იმერლებისაგან, რაჭველებისაგან და ა. შ. შედგება? მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სხვა კი არა, ბევრი ქართველიც ვერ ერკვევა ელემენტარულ საკითხებში და თავის კუთხურ პროვინციულობას უწინააღმდეგებს ქართველობას, რითაც წყალს ასწამს მტრის წისქვილზე.

ისევე ჩვენ, ქართველებმა უნდა მოვუაროთ ჩვენს მიწას, ენას, სახელს, გავუფრთხილდეთ ჩვენს წარსულს და მომავალს, თორემ სხვისი იმედით ყოფნა დაგვლუპავს. შურიანი ანტიქართული სხვადასხვა ჯურის წრეებისაგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ. და ამავე დროს უნდა ვარკვევდეთ, ვინ არის მტერი და ვინ—მოყვარე.

**გურამ ცხომავაშვილი,**  
მილიციის მეთაური.

„სსრკ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე არ იქნას განილული და უგულვალყოფილ იქნას „ადამონ ნიხასის“ მიმართვა, როგორც ვალსიფიკირებული, უსაფუძვლო და პარაკლუარი, რამდენადაც საზოგადოებრივი და ჩრდილოეთ ოსეთის შეერთებას და საზოგადოებრივი ავტონომიური რესპუბლიკის საბაზისის მინიპიის მოთხოვნას უარყოფს საქართველოში მცხოვრები ოსი ხალხის უპრაპლეზობა“.

„ოსური ასოციაცია სივარტელა“ (ფირონ ასოციაცია რასდმინადა)—მიმართვიდან სსრკ მთავრობისადმი.

„...მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“—გვიტყულობთ საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში... სხვაფრთვ ვერ იქნებოდა ღვთისმშობლის წილხედობილი ქვეყანა, რამეთუ ერთი, რომელმაც ყველაზე უწინ გასხლა ვაზი, ვინც სხვაზე უწინ აამღერა ქვა, ვინც ქრისტეშობამდე დაწერა წიგნი, ვინც შექმნა თავისი კვლავ დედოზარნი ატირა და ქართველის დედანი შემოსა ძაძით... ფიქრობდნენ საღათს ძილისგან გამოღვიძებული ერის სულის ვაბინძურებაზე, ცდილობდნენ ამ ერისთვის ურწმუნოებისა და უიმედობის შეყარას, ვითა სენისა უკურნებლისა, მაგრამ მოხდა კი პირიქით: 9 აპრილის ტრაგედიამ ფენიქსისებრ აღმართა ივერიელი, ნაცვლად დაცემისა, ფუძის მოშლისა, დაკინებისა. ზეარაკად შეწირულ ანგელო-

კაცი და ამანა, სპარტული სულერი სიმხნევე რომ შენაჩრუნებინა დღემდე. იცის, იცის ქართველმა, თავისუფლება უნდა მოიპოვო, ხელედაკაპიწებულმა თავდაუზოგავ ბრძოლაში უნდა მოიპოვო, აბა, რომელი ქვეყნისთვის მიუტომევიათ თავისუფლება ხონიით ან ძღვნად? ქართველ კაცს მიაქვს მიმე ჯვარი და მიდის, სწორი გზით მიდის, რომელიც უშეკვლად ტარამდე მიგვიყვანს.

# ღმერთო ყოვლის შემძლეო!

სიტყვიერება, ღმერთთან შენობით მოლაპარაკე, არ დაიდგამდა სხვის უღელს ქედზე, თავისი უფლებების გამოთვლას არ შეარჩენდა სიკვდილის დღემდე, მაგრამ ამ ერს 1918 წლის 26 მაისის სისხრული 1921 წლის 25 თებერვლის ძაძებით შეუცვალეს იმ ბოროტმა მინოტავრებმა, რომლებმაც „ერთი მუკა ველური ბრბო“ გვიწოდეს, „მუდამ მოჩაუბარი და ბეგთარგულდელი“, მათ, ვინც ერის ალალი სინდის-ნამუსი, ეროვნული დროშა სამასხაროდ აიგდეს, იმ სისხლიანმა ურჯულეობმა, მრავალჯერ რომ დაიხანეს ქართველის სისხლში ბინძური ხელეები, მათ, ვინც „გათიშე და იბატონეს“ იმპერიულ პრინციპს ახორციელებდნენ ვერავლად საქართველოში და დღესაც გრძელდება...

სათა სულგმა, დაღუპულთა უმანკო სისხლმა განწმინდა ერი... საქართველო რუსეთის ბორკილქვეშ ბუღბუღს ჰგავს არწივის კლანქებში, იმ ბუღბუღს, რომელსაც გალიაში გატარებულ უზრუნველ ცხოვრებას თუნდაც ერთი წამით თავისუფლად განავარდება ურჩევნია.

„უფალო, შეგვიწყალო და ბნელი ანათელი, უფალო, შეგვიწყალო, დიდებოც... პატარებოც... არც ისე პატარაა ეს ჩვენი საქართველო, არც ისე საწყალოა და ხელით სატარებო“...

„...მონა ხარ, მონა, უფრო საცოდავი, ვიდრე საზიზღარი,“—არ არსებობს ამაზე უფრო მტანჯველი სიტყვები ქართველი ერის შვილისთვის. მონობასაც ითმენდა ერთხანს, რამეთუ დიდია მოთმინების ფიალა მისი, მაგრამ როდესაც ესეც აევისო პირთამდე, ბრძოლა (უწინარესად ზნეობრივი ბრძოლა), აღმასვლა, ჭიდილი ბედთან გადაწყვიტა თავდაუზოგავი...

თუკი პატარა ლუქსემბურგს, ან სულ პაწაწინა ვატკანს, 10008 მაცხოვრებელი, შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, საქართველო ვითომ ვერ შეძლებს, თუ?—ეს ისე, ურწმუნო თომათა საყურადღებოდ, რადგან მავანსა და მავანს ვერ წარმოუდგენია საქართველოს გათავისუფლება და მისი დღენი ნათელნი რუსეთის გარეშე. მე კი ამას ვიტყვით: როდესაც ინგლისი ცივილიზებული სახელმწიფო გახდა, ყველა თავისი კოლონია ნებით დაიშო. ჩვენ ამის იმედი არ უნდა გვექონდეს, რადგან ამ „უკიდევანო ქვეყანას“, სადაც ეცხოვრობთ, ცივილიზაციამდე ჯერ კიდევ შორი გზა უდევს, მაგრამ ერთი უდავოა—იმპერია უნდა მოკვდეს! რუსეთის იმპერია კი არა, ბუმბერაზი იმპერიები დაშლილია, მსოფლიოს რომ აზანზარებდნენ. მაგალითისათვის: ბიზანტიის იმპერია, რომის იმპერია... იმედით ცოცხლობს ქართველი

დიდია, რა თქმა უნდა, ქართველისათვის დიდია ეს პატარა საქართველო და ამ მაღლიან მიწაზე მეც დავიტევი, შენც დავიტევი.

დედაო საქართველო, შენ ყოველთვის იდგები ამაყად და ქედუხრულად ბებერ ფესვებზე, ვითარცა ტრიუმფირატი, ამდენი გლეჯით, წეწვით, გასაჩუქრებით, განაწილებით, განაწილებით თითქმის სისხლისგან დაცილილი, მაგრამ სანამ ჩვენში, შენს სისხლში სისხლისმიერში და ხორცში პორცისმიერში დულს ქართული დაუდგრომელი სისხლი, ნურაფრის გემინია.

ღმერთო, შენ იყავი ივერიის მფარველი და აღადგინე ერთიანი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო!

ღმერთო ყოვლის შემძლეო, შეისმინე ქართველთა მოდგმის ედრება.

**ფოტიან ნემსაძე,**  
ვლადიმეროვკის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.



**ფოტომატიანე**  
გულრიფში:  
1989 წლის  
8 აპრილი  
პროტესტი გაისმოდა რუსთაველის საზოგადოების მრავალათასიან ხანტირებულ მიტინგზე აფსუთა ლალატის გამო... მეორე დღეს კი...

ეროვნულ მოძრაობაში დღეისათვის შექმნილი ვითარება დიდად მამოთებს. მინდა ასეთი პარალელის გავლებით დავიწყო (მაპატიეთ, პრაიმიტული მაგალითი რომ მომეყვას). ტრასაზე დგას ჩასაფრებული ავტონისპექტორი და მანქანის ხმას რომ გაიგონებს, მატრობს, ნეტავ მძლოლი წესრიგს დაარღვევდესო.

**როდემდე? როდემდე?**  
ცა აქცია მართლაც ცუდად დამთავრდება, პრესაში და საჭაროდ განვაშს ტებს. ასე და ამგვარად, პირველი გაერთიანების შეცდომებით მეორე ქულებს იწერს. და ასე გრძელდება, კარგა ხანია. როდის მოვლდება ამას ბოლო? შინაურ ურთიერთგაგებას თუ ვერ მივაღწიეთ, ნეტავ ვიღას გავუშვავდებით?

ანს. ასე თუ გაგრძელდა, 20-30-ათასიანი ერებიც კი დაგვამარცხებენ, ბრძოლაზე თუ მიღვა საქმე. ღმერთმა ნუ ქნას და ვინმე რომ დაგვესხას თავს, ჩვენ იმ დროს, დარწმუნებული ვარ, ვითარების გარჩევა-გარკვევას მოვუწოდებთ. გასარჩევი საქმეები კი ბლომად გვექნება მუდამ, ვინაიდან ერთი რომ მრულე გზას დაადგება, მეორე პირიქით, შეცდომისკენ უბიძგებს, ბრძოლის წაგების შემდეგ კი გაიძახის—მე ამ შეცდომას არ დავუშვებდით.

ჩვენს პოლიტიკური გაერთიანების ურთიერთდამოკიდებულებაშიც ამგვარ რამეს ვხედავ და არცთუ უსაფუძვლოდ ვთქვით, აქციის ჩატარებას აპირებს რომელიმე გაერთიანება. მეორეს მიაჩნია, რომ აქცია ცუდ შედეგს მოუტანს ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ ხმას არ იღებს, ხოლო მეორე, რო-

ჩვენ ერთმანეთისადმი ანგარიშის გასწორება უფრო გვიანტერესებს, ვიდრე ეროვნული მოძრაობის განმტკიცება. დღეს ჩვენს შუღლს სწორედ ასეთი პირი უჩ-

უფროსი თაობა, ამის შემყურე, შიშს გაუთანგავს და ხმას არ იღებს.  
როდემდე, როდემდე ეგერი?!  
ანგორ გვარამია.



მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

(იპიტხაზა ხმაბალა): საქართველოს სსრ ოფიციალურმა შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა. გაითვალისწინა რა მშრომელთა მრავალრიცხოვანი შენიშვნები და წინადადებანი, ერთი საღამოს განმავლობაში ქვე ქვაზე არ დატოვა გულრიფვის რაიონული ხელმძღვანელობიდან. აბა ვინ, რომელ მხარეში შესძლო ასე ლაღად და თამამად „უძრავთა“ დაფრენა, ცოდვილთა მხილება, ამა სოფლისთვის სანთელივით დამწვართა მოვლინება ჩვენდა სახსენლად. არავინ, არსად, არსოდეს! ქეშმარიტად „პერესტროიკისა“ და „უსკარენის“ ტრიუმფს მოგვასწრო განგებამ. აბა რა ეგონათ?!

ო, რა მრავალსიმეტყმელი იყო ყველაფერი ამ გრანდიოზულ სანახაობაზე: განახლებით მონიჭებული სიხარულიცა და წარსულთან განშორების ცრემლიც, აღმავროვნებელი დაპირებებიცა და საერთო საქმისათვის ანთებულთა მგზნებარე სიტყვებიც, აწ უკვე „გადამდგარ გენერლებთან“ სეკდისიმომგვარელი გამომწვილობებაცა და ქეშმარიტ ერისკაცთათვის გზაანუვლი სამწყსოს ჩაბარებით გასხივონებული სახეებიც.

(იპიტხაზა ხმაბალა): მერე რაა, რომ საკადრო პოლიტიკაში პარტიტულობა აღგვიტყვეს, მერე რაა, რომ ე. წ. თავმჯდომარე უზენაესის საფარძლის კბეებს „მისების“ დაუქობნავად გაუყენეს, მერე რაა, რომ სულგრძელად თავმდაბალმა საკრებულომ შესაშური ერისკაცთათვის გამოიჩინა „ამა ქვეყნის ძლიერთა“ ნების მხარდასაჭერად?!

(ხმაბალა): მერე რა! ჩვენ ხომ გვგვრა კომუნისმის დიადი იდეალებსა, ჩვენ ხომ გვგვრა ჩვენი მრავალნადადი პარტიისა, ჩვენ აბა ვიცი, რომ იქ—„ზევით“ უკეთ უწყვიან, რას იქმან (პაუზა).

... (დასავაპაიტი): ოღონდ ეცალოთ, ნუ ვიქნებით სულსწრაფები, ნუ დაუვჯერებთ „ბუჩქებში მოჩურჩხულეთ“, აქაოდა, როგორი ამომჩეკელებიც ვართ, ისეთი მთავრობა გვყავსო. ცოტაცა და... (იხსნა ხმაბალა): „პერესტროიკის“ ქარიშხალი შეიჭრება ყველგან და ყველაფერში, აღმოვხვების ყოველგვარ ნაკლოვანებას, რაც ხელს გვიშლის მუშაობაში.

(რინინადა): მამ, აუ ასეა, ვაშა შენებას! რაიონის ხელმძღვანელობა გადადგა, გაუმარჯოს ახალს!

„მომდვარი“. 1989 წლის სექტემბერი

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

△ 26 დეკემბერს ამომჩეველთა ნაწილი შეხვდა სსრკ სახალხო დემოკრატიულ მერე ყრილობიდან ჩამოსულ დემუტატ კარსი ჩოლოკიანს. შეკრებილებმა თავიანთი „რჩეულის“ საუბრით გამოწვეული გაოცება ვერ დამალეს. მას თურმე აბა მიუცია სსრკ კონსტიტუციიდან მე-6 მუხლის ამოღებისთვის, ოღონდ ეგაა, ვერ გაიხსენა, რას ეხებოდა ის მუხლი (დღეს, ინფორმაციის ბუმის ეპოქაში განა შეიძლება ყველაფრის დამახსოვრება?)... მერე იყო და... ამომჩეველები ჩააცივდნენ, ვდლიანსა და ივანოვზე რა აზრისა ხართ, როგორია თქვენი პოზიციო... არადა, სულ არ დასწრება იმ ხსენობას.

სამაგიეროდ, დიდის ინტერესით მოუსმენია ანატოლი სობჩაკის გამოსვლისათვის. მერე, ტრიბუნაზე კატუსევი რომ ავიდა, დაუნახავს, როგორ გადაულაპარაკეს ქართველებმა ერთმანეთს რაღაც და დარბაზიდან გავიდნენ. დავიბენი, ვერ მივხვდი, რა ხდებოდაო, არც ის უნახავს, როგორ დატოვეს ყრილობა ბალტიისპირელმა, სომეხმა, უკრაინელმა, რუსმა, აზერბაიჯანელმა, ყაზახმა დემუტატებმა... რას იზამ, თვლი და ყური ვერ მოსწყვიტა საქართველოსა და ქართველი ხალხის მაგინებელს, თანაც მარტო ხომ არ დატოვებდა აფსუა დემუტატებს—აგრბას, არშასა და შინქუბას, რომელთა გვერდითაც მჯდარა.

აფერუმ! მართლაც ღირსეული წარმომადგენელი ჰყავთ გულრიფშელებს ქვეყნის პარლამენტში!

△ ოჩამჩირის არასაუწყებო დაცვის უფროსი შლარბა დაკავებულ იქნა იმის გამო, რომ 15-16 ივლისს დიდი რაოდენობით გასცა ცეცხლსასროლი იარაღი. მან აღიარა დანაშაული, მაგრამ რაკი თანამონაწილებად დაასახელა პროკურორი ტორჩუა და რაიკომის მდივანი ბაგაფში, მათი დაცვისა და საქმის მიფუჩეჩების მიზნით სსრკ პროკურატურამ შლარბა გაათავისუფლა. ტორჩუასა და ბაგაფს პასუხს არავინ სთხოვს, ხოლო ქართველები, რომელთაც თავს დაესხნენ, უმკაცრესად ისჯებიან.

ქრისტეს ასაკში იყო. საოცარი სიყვარული შეეძლო. ტკივილამდე უყვარდა საქართველო. ჩვენც ტკივილამდე შეგვძრა მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა. ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა ოცდაცამეტი წლის სოსო აღაშია. გვეგონა, ცრემლი გაგვითვდა, გვეგონა, ვერ შევძლებდით გლოვას, მაგრამ მის ცხელართან ტირილს ვერ შეიკავებ.

საქართველოს ისტორიას გვასწავლიდა, თავადაც რაღაცით ჰგავდა საყვარელ საგანს. უდიდესი სითბო მოჰქონდა ლექციებზე, სითბო და რწმენა. ყველა ლექციას ერთნაირი გატაცებით კითხულობდა, ყველა სტუდენტი მეგობრად და თანამაზრედ მიიჩნდა.

უსაშველოდ არ უყვარდა ლოზუნგები. არასოდეს უყვირია, გაუმარჯოს საქართველოსო. ამას მისი თვალები ყვიროდნენ. საქმე უყვარდა მართალი და ქეშმარიტი, დიდბუნებოვანი კაცი იყო და ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, შეეძლო ერთხელ რწმენილი და აღიარებულ თავისი სიცოცხლის საგნად გავხვდა და ცხოვრებაც შეეჭირა მისთვის. მისი ცხოვრების საგანი კი საქართველო იყო უპირველესად და სიყვარული.

უსაზღვროდ სევდიანი დადიოდა აპრილის დღეებში, ცრემლებით საესე ჰქონდა თვალბუდეები. ივლისის მოვლენების მონაწილე, შექრული იყო სისხლიანი სოხუმი. თავად უაღრესად ჰუმანური და კაცთმოყვარე, ვერაფრით წარმოდგენდა ოდინდელ მეგობრებთან ბრძოლას. ჩვეული გულწრფელობით დაიტრია ეოვა ვიქუა.

მისი ყველა გამოსვლა აწონილი და ვაზომილი იყო, ყველაფერში საოცარ ინტელექტს ავლენდა. უსურებელი მას და მათეს საზარების სიტყვები გახსენდებოდა: „იყვენი თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“. იგი სრულყოფილი იყო იმდენად, რამდენადაც სრულყოფილი შეიძლება იყოს ადამიანი.

ძნელია სიკვდილი ქრისტეს ასაკში, მით უფრო, როცა ამდენ ადამიანს სჭირდები, როცა საქმეს სჭირდები, როცა ამდენს უყვარხარ. ძნელია სანუქვარ ოცნებასთან მიახლოებულის სიკვდილი. ძნელია დღეს ყველა კაი ყმის სიკვდილი.

მაგრამ ათწლეულებიც რომ გავიდეს, ერთ მშვენიერ დღეს, შენს ირაკისა და ნინიკოსთან ერთად, მაინც მივაღო სუფთა და შეურყვანელ საფლავთან და რინიანად ჩაგძახებთ: „თენდება, სოსო“...

თსუ სოხუმი ვილიაღის სტუდენტთა ჯგუფი

მწარე ხვედრი გვარგუნა ბედმა, ვემწვიდობებით ადამიანს, რომელიც იყო წრფელი. ეროვნულმა მოძრაობამ დაკარგა კიდევ ერთი ღირსეული მეციხოვნეთაგანი. ჯერ იყო და 15 ივლისის საზარელმა აქციამ იმსხვერპლა ბატონი ვოვა ვექუა. შემდეგ ხარაგაულის რაიონში მომხდარმა კატასტროფამ იმსხვერპლა მერაბ კოსტავა. ამჯერად კი ისევ კატასტროფა. თითქოს უჩინარი ხელი წარმართავს ყოველივე ამას.

სოსო აღაშია ერთ-ერთი შემთხვევით გადარჩენილთაგანი გახლავთ 15 ივლისის აქციისა. ის მკვდარი გეონათ და მპოლოდ ამან იხსნა, მაგრამ ვავლახ, რომ მისი გადარჩენით გამოწვეული ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა.

მშვიდობით, ძმარ სოსო, სიზმარისა და ცხადის შუა მდგარო კაცო, სიზმარივით ხანმოკლე იყო შენი ცხოვრება და ცხადივით თვალშესახები. ფუტკარივით მოფუსფუსე და დაუცვრობელი იყავი. ადამიანი თავისი საქციელით, ნათქვამით. შენი პიროვნება შენსავე საქციელში ამოიკითხებოდა. შენი სახით მთარული სიკეთე დადიოდა ქვეყნიერებაზე. სტუდენტებშიც და ტოლამხანაგებშიც გამორჩეული იყავი ამ თვისებით. ცხოვრობდი გულის კარნახით და შენი ვეებერთელა გული ყველაფერს სწვდებოდა. განვლულ სწავლების წლები და შენი სახით სოხუმის უნივერსიტეტს მაღალკვალიფიციური, ძლიერი კადრი შეემატა. მზრუნველობა და მფარველობა არ დაგიკლია აბიტურიენტებისათვის. ამ მარცხ განსაკუთრებულ მაღლიერებას გამოხატავს შენს მიმართ მესტიის რაიონის ახალგაზრდობა.

უცნაური ცხოვრების წესი დაუწყესა უზენაესმა ადამიანებს, ვერ ვცნობთ სრულყოფილად ჩვენს გვერდით მყოფს მანამ, სანამ არ ვკარგავთ მას. თურმე ბოლომდე ვერ ამოგვიცნინხარ. მიტევენას ვითხოვთ შენი მაღალი კაცური კაცობის წინაშე იმის გამო, რომ ვერ მოგფერთხილდით. თუმცა შენ ისეთი „გვარისა იყავი, ვისაც უკან არ დაუხევი“, შიშით და ძრწოლით არასოდეს გიცხოვრია. გიყვარდა ხიჯათით საესე გზებზე სიარული. პარასკევს გასვლა უკანასკნელი გასვლა იყო შენი მზის საწიერზე. მახსენდება ჩემი რამდენიმე წლის წინათ დაწერილი ლექსი, რომელიც წინასწარ-

მეტყველებსავით აღმოჩნდა შენთვის:

ვეიდე ღრუბლის კავებზე, სუნთქვა მწყუროდა მძაფრი, მე ვარსკვლავივით ავენთე და ვარსკვლავივით ჩავქრი. თავით მზის სხივი მეკიდა, დღეს ძლივსძლივობით ვიბეგი, თავს მინისლავენ ძვლებიდან ამობერტყილი წლები. გარანდეს კუბოს ფიცრები, მესმის ყავაყავი მგლების, რა უცაბედად ვიცლები, რა უცაბედად ვკვდები.

შენ ის კაცი ხარ, რომელიც ვარსკვლავივით აენთო და ვარსკვლავივით ჩაქრა. გიყვარდა საქართველოს ისტორიული ნაწილი ზღვისპირეთი. ზღვა ხალხი მოსულა, რათა ნუგეში სცენ დედას, მამას, ძმას, მეუღლეს და შენს ბავშვებს.

დღეიდან ვეღარ შეგვეხმინებო, მაგრამ ინათებ ყველა ჩვენგანში. გაჭირვების ყამს შეგვაგულიანებ. ჰიკისა შიგან გამაგრებას გვასწავლი. იცოხლები და გაგრძელები შეილენი, ყველა ჩვენგანის ფიქრში, ყველა ჩვენგანის ტკივილში.

იარსებებ ყოველი ჩვენგანის ამოსუნთქვაში. დანაწილდებ ყოველ ჩვენგანში სითბოდ, სიკეთედ, სინათლედ და სიყვარულად. ჩვენ კი ვპირდებით, რომ იმას, რაც შენ გაიღე ყოველი ჩვენგანისადმი, ჩვენც უანგაროდ მივიტანთ ყოველი ადამიანის გულამდე. ერთ წუთისთვის ვეღარ გავანებებ სიკვდილს სიციცხლედ. შენი სიკვდილით შენი სიცოცხლე არ წყვეტს არსებობას.

არ უწყრია ჩაქრობა მზეს, რომელიც ურარტუს ქვაბებს აცხუნებდა. არ უწყრია გადაშენება იმ ხალხს, რომლისთვისაც მიუღებელია სიძულვილი. შენ სიყვარული მიგაცილებს ამ ქვეყნიდან იმ ქვეყნად. კურთხეულ იყავ. დღეიდან შენი საფლავი წმინდაა წმინდა ადგილად იქცევა ჩვენთვის. ჩვენი სტუდენტობის ზეს ვახტანგ ჩიტისისა და დათო გამსახურდიას შემდეგ მესამე ფოთლად ჩამოწყდი. მიდიხარ ისე, რომ არაფერი დაიტოვე საშენოდ, ბოლომდე დახარჯული კაცო, ვეშთხვევი შენი ნათელ შუბლს და მუხლს ვიყრი შენი დიდი კაცობის წინაშე. მსუბუქი იყოს შენთვის ზღვისპირეთის ქართული მიწა.

იპიტხაზა ხმაბალი

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გულრიფშის რაიონული განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ღირსი, ილია ქავეჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი **ზურაბ ჭავჭავაძე** და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

თვითგამოცემითი ჟურნალ — ბაჟეთების ზურცლავაზი

ამ სათურით საგაზეთო წერილის დაწერა დიდი ხნის წინ გადაწყვიტეთ, როდესაც სიტყვა ნაციონალიზმის მხოლოდ ხსენებაც კი თითქმის სისხლის სამართლის დანაშაულის ტოლფასად აღიქმებოდა (თუმცა „გარდაქმნა“ უკვე დაწყებული იყო). საუკუნის დასაწყისში ამუშავებული იდეოლოგიური მანქანა მთელს სიმძლავრეზე იყო ჩართული და ოფიციალურ პრესაში ამ საკითხზე ჩემი აზრის გამოქვეყნება ფიზიკურად შეუძლებელი გახლდათ. ამიტომ არ მოვიყვანე სისრულეში ჩემი სურვილი მაშინ. არადა, საჭირო იყო. ვფიქრობ, ახლაც საჭიროა, რადგან, თუმცა ქართული ეროვნული თვითშეგნება საგონიბოლად ამაღლდა, ხსენებული იდეოლოგიური მანქანა ჯერ კიდევ გაცხოველებულად მუშაობს და გოლუხვად გვაყრის ფრთასხმულ ფრთებს: „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ!“ „ძირს ნაციონალისტური გამოხედობები!“ „არ დავეშვებთ ჩვენს ინტერნაციონალურ, მრავალეროვან ქვეყანაში

ნაციონალისტურ გამომხედობებს!“. ამიტომ ბევრი ქართველის შეგნებაში ნაციონალიზმი ჯერ კიდევ რაღაც საშინელს და ყოვლად მიუღებელ ცნებას აღნიშნავს. თუმცა რიგით მოქალაქეს რას ვერჩიოთ, როცა თვით დღევანდელი ქართული

ნავ მაგალითად ვინმე ბათუმელი ლევანის განამარტებული ამბავი და პროგრამა „ვზგლიადით“ რ. ამაშუკელისა და გ. ლორთქიფანიძის გამოსვლაც კმარა. არადა, რა არის ნაციონალისტობაში ისეთი სამარცხვინო, ადამიანებმა ერთმა-

წაკიდება სხვა ეროვნებასთან. 2. მოძრაობა დამონებულ ქვეყნებში დამოუკიდებლობისათვის. ეს განმარტებანი საოცრად წაავსეს საბჭოთა კონსტიტუციის, სადაც ჰშირად მომდევნო მუხლი წინამდებარეს უარყოფს და გამოიციხავს. მაინც რას გულსხმობს სიტყვა ნაციონალიზმი, რაქციულ, ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, რომლის მიზანია ერთა შორის სიძულვილის გაღვივება და მათი ერთმანეთზე წაკიდება (რაც ცუდი) თუ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას (რაც არც ისე ცუდი უნდა იყოს), ამის პასუხს ეს ლექსიკონი არ იძლევა. პირიქით, კიდევ უფრო გვაბნებს სიტყვა ნაციონალისტის განმარტებით: **ნაციონალისტი**—1. ნაციონალიზმის (მნიშ. 1) მიმდევარი, 2. ნაციონალიზმის (მნიშ. 2) მომხრე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე.

ლევან რაივივილი ნაციონალიზმისა და ინგაინაციონალიზმის შესახებ

ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი გვიხილავს საკეშირო თუ რესპუბლიკურ ტრიბუნაზე, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული რომ უმტკიცებდა მავანთ და მავანთ,—ქართველები არა ვართ ნაციონალისტები, ჩვენ ყველა გვიყვარს და მართლა ინტერნაციონალისტები ვართო.“ და ვერ ხვდებოდა, რომ ამით თვით შეურაცხყოფდა უნებლიეთ საქართველოს ღირსებას. ამის შესანიშ-

ნეთს რომ დავწამოთ, როგორც დანაშაული, ხოლო „უსამართლოდ ბრალდებულეებმა“ კი თავგამოდებით უარყოფთ იგი. ჩავიხედოთ უცხო სიტყვათა ლექსიკონში (1964 წლის გამოც. შემდგ. მ. ჰიბაშვილი, გვ. 267) **ნაციონალიზმი**—1. რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია და პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული შუღლის გაღვივება და ერთი ეროვნების

(დასასრული მე-6 გვ)



